# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-570

29/04/2021

ქ. თბილისი

**„ქ. თბილისში, შპს „ეიჩ ბი ფართსის“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 მარტის N2-284 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

შპს „ეიჩ ბი ფართსის“ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ განცხადებაზე, ქ. თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ში, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე „გარემოსდაცვით შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.4 და 10.5 ქვეპუნქტების საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 მარტის N2-284 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „ეიჩ ბი ფართსი“ საქმიანობის განხორციელებას გეგმავდა ქ. თბილისში, გარდაბნის გზატკეცილ N42-ში, სს „გრაალი 92“-ის საკუთრებაში არსებულ საოფისე შენობაში, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. წარმოდგენილი იყო ასევე იჯარის ხელშეკრულება. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-3 პირობის თანახმად, შპს ,,ეიჩ ბი ფართსის” საქმიანობა უნდა განეხორციელებინა წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-13 მუხლის მე-4 ნაწილით, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია შეასრულოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე წლის 15 თებერვალს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „ციფრული

მმართველობის სააგენტოდან“ წარმოდგენილ იქნა სს ,,გრაალი 92“-ს წერილი, რომელიც ეხებოდა ქ. თბილისში, შპს „ეიჩ ბი ფართსის“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 მარტს N2-284 გაცემული ბრძანების და მასთან დაკავშირებული ყველა აქტის გაუქმების საკითხს. წარმოდგენილი წერილიდან ირკვეოდა, რომ სს ,,გრაალი 92“-ს (ს/კ 208145782) და შპს ,,ეიჩ ბი ფართსის“ (ს/კ 439414821) შორის 01.11.2020 წელს გაფორმებული ,,უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულების“ პირობების თანახმად, კომპანიას უფლება ჰქონდა გამოეყენებინა იჯარით აღებული ფართი მხოლოდ სასაწყობო დანიშნულებით. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კომპანიებს შორის გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.1.1, 3.1.2, 3.1.8, 3.1.10, 3.1.12 პუნქტების, ასევე 4.1.,4.2 4.3, 4.4. პუნქტების დარღვევის გამო იჯარის ხელშეკრულება 10.02.2021 შეტყობინების საფუძველზე ოფიციალურად იქნა შეწყვეტილი, ხოლო შპს „ეიჩ ბი ფართსის“ წარმომადგენლებს აეკრძალათ გარდაბნის გზატკეცილი N42-ში რაიმე სახის საქმიანობის განხორციელება, ასევე საიჯარო ტერიტორიაზე დაშვება.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სამინისტრომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება „ქ. თბილისში, შპს „ეიჩ ბი ფართსის“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 მარტის N2-284 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, რის შესახებაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, 2021 წლის 10 მარტის სამინისტროს წერილით N2265/01 ეცნობა კომპანიას. შპს „ეიჩ ბი ფართსის“ მიერ მითითებულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროში პოზიცია არ წარმოუდგენია. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისში, შპს „ეიჩ ბი ფართსის“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 მარტის N2-284 ბრძანება;

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ეიჩ ბი ფართსის“;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეიჩ ბი ფართსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი